ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ს ტრუქტურულ ერთეულებში სტაჟირებისათვის განკუთვნილი პოზიციებისათვის განისაზღვროს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები:დანართი ოქმი N 1(25.08.2026)

N	სტრუქტურული ერთეული	საკვალიფიკაციო მოთხოვნები		ფუნქცია მოვალეობები
		განათლება	საკონკურსო თემატიკა	
1	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი იურიდიული განყოფილება	სამართალმცოდნეობა	საქართველოს კონსტიტუცია; საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“; საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“	ა) საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების პროცესში მონაწილეობის მიღება; ბ) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების პროცესის გაცნობა; გ) საკრებულოს თანამდებობის პირების, საკრებულოს წევრების, საკრებულოს აპარატის უფროსის, საკრებულოს აპარატის სტრუქტურული ერთეულების და აპარატის სხვა საჯარო მოსამსახურეთა სამართლებრივი ინფორმაციით უზრუნველყოფასა და მათთვის შესაბამისი სამსართლებრივი კონსულტაციების გაწევის პროცესის გაცნობა; დ) სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით შესაბამის წინადადებების, რეკომენდაციებისა და დასკვნების მომზადების პროცესში მონაწილეობის მიღება; ე) მოქმედი კანონმდებლობით, ამ დებულებით და მათ შესაბამისად საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტებითა, ასევე აპარატის უფროსისა და განყოფილების უფროსის ცალკეული დავალებებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელებაში მონაწილეობის მიღება.

2	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება	ზოგადი	საქართველოს კონსტიტუცია; საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“; საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“	ა) შრომით ხელშეკრულებების, საკადრო გრძანებების მომზადების პროცესში მონაწილეობა; ბ) საკრებულოს სხდომის ოქმების წარმოების პროცესში მონაწილეობა; გ) საჯარო ინფორმაციის გაცემის დოკუმენტაციის შემუშავები პროცესში მონაწილეობა.
3	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი მასმედიასთან და საზოგადოებასთან მართვის განყოფილება	ზოგადი	საქართველოს კონსტიტუცია; საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“; საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“	ა) ქალაქ ბათუმის საკრებულოში მიმდინარე პროცესების შესახებ საზოგადოების ინფორმირების და მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით გასაშუქებელი და გასავრცელებელი თემების, საინფორმაციო მასალების, პრესრელიზების, საინფორმაციო განცხადებებისა და ანონსების მომზადებისა და გავრცელების პროცესში მონაწილეობა; ბ) საკრებულოს ოფიციალური ვებ-გვერდისათვის საკრებულოს სხდომებისა და ბიუროს სხდომების, ასევე საკრებულოს წევრების ბრიფინგებისა და სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ ინფორმაციების მომზადების პროცესში მონაწილეობა.